განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს8-19, 21.08.2019

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

ოქმი №14, 29.08.2019

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს1-26, 10.02.2026

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №3, 18.02.2026

საგანმანათლებლო პროგრამა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული, სტუდენტს აქვს საშუალება რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური/ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of laws)

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ეკა კაველიძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი, ელ. ფოსტა: kavelidze.eka@eu.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი: ლევან მესხორაძე, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ელ. ფოსტა: levan.meskhoradze@eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

ბ) უცხოური ენებიდან ერთ-ერთი შემდეგი ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

გ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია/მათემატიკა/სამოქალაქო განათლება (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

სამართალი, როგორც საზოგადოების, სახელმწიფოსა და საჯარო თუ კერძო ინსტიტუციების მოწყობის იურიდიული საფუძველი, აქტუალობას არათუ კარგავს, არამედ, დროთა განმავლობაში მეტად იძენს. ასევე, სამართლის განვითარებასთან ერთად მატულობს მისი მნიშვნელობა და ფუნქცია საზოგადოებაში. საქართველოში დემოკრატიული, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, შესაბამისად, საზოგადოებაში სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა სულ უფრო აქტუალური ხდება. ფორმირდება სრულიად ახალი სამართლებრივი, საზოგადოებრივი ურთიერთობები, რასაც ბუნებრივია თან ახლავს დამატებითი სამართლებრივი პრობლემები, დავები, რის გამოც სამათლებრივი პრობლემების გადაჭრა სულ უფრო აქტუალური და საჭიროა.

მრავალფეროვანი საზოგადოებრივი, ინსტიტუციური და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გათვალისწინებით, უკიდურესად მნიშვნელოვანია სამართლის შესაბამისი დარგებისა და

ნორმების სიღრმისეული ცოდნა და მათი ეფექტური რეალიზება. ამდენად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაც ამ ფაქტორიდან გამომდინარეობს.

სამართალი და სამართლებრივი ნორმები მთლიანობაში ქმნის ნებისმიერი ტიპის ურთიერთობის იურიდიულ ბაზისს, ამდენად, მის ცოდნასა და რეალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად, კვალიფიციური, ფუნდამენტური და პრაქტიკული უნარების მქონე სამართალმცოდნეების მომზადება გარდაუვალი აუცილებლობაა.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველო დღითიდღე უფრო საინტერესო ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის. ხორციელდება ახალი ინვესტიციები, ფორმირდება ახალი კომპანიები, რომლებიც უთუოდ საჭიროებენ სამართლებრივ მოწესრიგებას, რაც კიდევ ერთხელ სძენს აქტუალობას იურისტის პროფესიას.

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

1) მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება ეროვნული სამართლის ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა;

2) მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, გადაჭრის, შეფასების, მსჯელობის, დასაბუთების, სამართლებრივი დოკუმენტების წარმოების, სამართლის წყაროების (სამეცნიერო პუბლიკაციები, საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მოძიების და იურისპრუდენციაში არსებული სიახლეების მიდევნების, დამუშავების და დასაბუთებული პოზიციის წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი;

3) ასევე, მოამზადოს პროფესიული და ეთიკური ღირებულებების მქონე, სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

I შედეგი: აღწერს სამართლის არსს, მის ძირითად პრინციპებს, სისტემას, სამართლებრივ სისტემებს; ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, სამართლის ნორმათა სტრუქტურას, ფუნქციას, განმარტების მეთოდებს და სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს;

II შედეგი: განიხილავს სახელმწიფოს ცნებას, ფუნქციას, სახელმწიფო მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმებს, ასევე ეროვნული მოდელის თავისებურებებს, კონსტიტუციური სამართლის ძირითად ასპექტებს, პრინციპებს, თეორიებს. ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და

ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვების პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის ძირითად სპეციფიკას, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებსა და პრინციპებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს.

III შედეგი: აღწერს კერძო სამართლის სისტემას, პრინციპებს, კერძო სამართლის სფეროში არსებულ თეორიებს; სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებს და პრინციპებს, ასევე, სანივთო სამართლის ვალდებულებითი სამართლის, მათ შორის, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, საოჯახო სამართლის, სამეწარმეო სამართლის ძირითად საკითხებს; სამეწარმეო თავისუფლების მნიშვნელობას და მისი დაცვის ეროვნულ ინსტრუმენტებს. შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს. სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;

IV შედეგი: ჩამოთვლის და აღწერს სისხლის სამართლის პრინციპებსა და ზოგად ცნებებს, დანაშაულის არსს, სახეებსა და კატეგორიებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;

V შედეგი: განიხილავს საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს და ინსტიტუტებს, წყაროებს; ჩვეულებითი ნორმებს საერთაშორისო სამართალში; საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ეროვნულ დონეზე გამოყენების თავისებურებებს; საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, მათ შორის, მათ წესებს და პროცედურებს; საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას.

VI შედეგი: განსაზღვრავს სამართლევრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, მის ძირითად მახასიათებლებს და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის სგზებს.

უნარი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

VII შედეგი: იყენებს სამართლებრივი წერისა და კვლევის უნარებს. მოიძიებს რელევანტურ ნორმატიულ ბაზასა და სამართლებრივ წყაროებს და უსადაგებს მათ კონკრეტულ სამართლებრივ პრობლემას. ადგენს საჭირო სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულება, სამართალშეფარდებითი აქტი, საპროცესო დოკუმენტები, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტები; შეიმუშავებს კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

VIII შედეგი: აიდენტიფიცირებს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ახლებური მეთოდებით შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის გზებს; ასევე, შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით; მათ შორის აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს სხვადასხვა პერსპექტივით; ასევე, ავითარებს სამართლებრივი პრობლემატიკის გადაწყვეტისთვის სხვადასხვა თეზისს და ასაბუთებს არჩეულ მიდგომას; აანალიზებს სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს და იყენებს მათ:

- საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის,/შეფასებისთვის
- ასევე სამართლებრივ დავაში საკუთარი პოზიციების დასაბუთებისთვის

- ამა თუ იმ იურიდიული მოქმედებების განხორციელებისთვის ან/და
- ნებისმიერი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის მიზნით.

IX შედეგი: ავითარებს და ასაბუთებს სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე;

X შედეგი: მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

XI შედეგი: ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების მნიშვნელობას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების შესაბამისად. პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების დაცვითა და გათვალისწინებით;

XII შედეგი: წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით;

XIII შედეგი: ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაშისწავლის“ პრინციპის დაცვით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სამართლის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი:

I შედეგი: იყენებს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებს როგორც სისხლის ისე სამოქალაქო სამართალწარმოებაში;

II შედეგი: აგებს ევროპის საერთაშორისო სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ საჯარო სამართლის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი:

I შედეგი: კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ხსნის კაზუსებს ამოხსნის მეთოდიკის გამოყენებით;

II შედეგი: მიმოიხილავს კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების ჭრილში;

III შედეგი: დამოუკიდებლად აგებს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის საჭირო დოკუმენტებს;

IV შედეგი: მონაწილეობს ადმინისტრაციულ სამართალწამროებაში საქმის სპეციფიკისა და არსებული საპროცესო ნორმების გათვალისწინებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სისხლის სამართლის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი:

I შედეგი: სისხლის სამართლის მიმართულებით ხსნის კაზუსებს ამოხსნის მეთოდიკის გამოყენებით;

II შედეგი: აგებს სისხლის სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვან საპროცესო დოკუმენტებს;

III შედეგი: აგებს და დემონსტრირებს შესავალ და დასკვნით სიტყვას დამოუკიდებლად, ასევე სისხლის სამართლის საქმეში ვერსიას, ატარებს პირდაპირ და ჯვარედინ დაკითხვას, მონაწილეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვაში, საქმის სპეციფიკისა და არსებული საპროცესო ნორმების გათვალისწინებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კერძო სამართლის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი:

I შედეგი: კერძო სამართლის მიმართულებით ხსნის კაზუსებს ამოხსნის მეთოდიკის გამოყენებით;

II შედეგი: მიმოიხილავს კერძო სამართლის საკითხებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების ჭრილში;

III შედეგი: დამოუკიდებლად აგებს სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის საჭირო დოკუმენტებს;

IV შედეგი: მონაწილეობს სამოქალაქო სამართალწარმოებაში, საქმის სპეციფიკისა და არსებული საპროცესო ნორმების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. **დანართი #1**).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. **დანართი #2**).

პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს:

ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

პრაქტიკას (პრაქტიკის გავლას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-დაცვას).

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 29 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი) - 149 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 4 კრედიტი

კონცენტრაცია - 30 კრედიტი

არჩევითი თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 28 კრედიტი.

რიგი სასწავლო კურსები ალტერნატიული სახით შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე სტუდენტის სურვილის შესაბამისად. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა (დაშვების სხვა წინაპირობებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამა იძლევა 4 კონცენტრაციიდან (საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის და საერთაშორისო სამართლის კონცენტრაციიდან) ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობას. კონცენტრაციები ითვალისწინებენ როგორც სავალდებულო ისე არჩევით სასწავლო კურსებს.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას. ერთი სემესტრი შედგება 21 კვირისგან, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, ხოლო 6 კვირა სასესიო. კერძოდ, მე–18 და მე–20 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, 21-ე კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების

გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე. მერვე/მეცხრე კვირას ტარდება შუალედური გამოცდები, გარდა იურიდიული პრაქტიკისა.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. **დანართი #5**).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაშიც თუ მან გადალახა საბოლოო დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი (51 ქულა), მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის (შუალედური შეფასების 50%) გადალახვის შემთხვევაში.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი აკმაყოფილებს პირობებს:

ა) გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერი (დასკვნითი გამოცდის 50% + 1 ქულა);

ბ) მოაგროვა საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო ან კერძო სექტორში ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კანონი არ ითხოვს სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. დასაქმების პოტენციური სექტორებია სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი, საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა პროფილის კერძო კომპანიები და ორგანიზაციები, კერძო საადვოკატო ბიუროები, იურიდიული კომპანიები და ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხურზე – მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი:

ეკა კაველიძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი:

ლევან მესხორაძე, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ:

სოფიო ხუნდაძე